ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

28 (9968) • 30 ivlisi • 2012 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

მიხეილ სააკაშვილის ვიზიტები გურიაში

გაზეთი „ალიონი“

ფოტო „ალიონი“ არქივიდან

გასულ სამშაბათს, ვერტმფრენის ხმითა და ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში შეიარაღებული ადამიანების კონცენტრაციით გასაგები გახდა, რომ ოზურგეთს საქართველოს პრეზიდენტი ესტუმრა. როგორც პრემიერ-მინისტრის სტუმრობისას, ამჯერადაც ადგილობრივი მედია არავის გახსენებია.

პრეზიდენტის ჩამოსვლის წინ, იმ ქუჩაზე, სადაც მიხეილ სააკაშვილის ექსკორტს უნდა გაევლო, ინციდენტი მოხდა. სხვა რეგიონიდან ჩამოსული საგადასახადო სამსახურის „შტატგარეშე“ თანამშრომლები თაყაიშვილის ქუჩაზე ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე ერთ-ერთი ქალბატონის დაჯარიმებას აპირებდნენ. ოქმის შედგენისას სიტყვიერი დაპირისპირება ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა.

მიხეილ სააკაშვილმა დაბა ნარუჯაში მოცვის პლანტაცია, დაბა ლაითურში ციხის მშენებლობა მოინახულა, ანასეულის ჩაის ფაბრიკას ესტუმრა და „მედალფას“ კლინიკაში ახალშობილების დედებს საჩუქრები გადასცა.

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი, მედიისათვის კვლავ დახურულ ფორმატში 5 საათისათვის სოფ. ბახვის მოსახლეობას შეხვდა. ბახველებთან ერთად პრეზიდენტს სხვა სოფლებიდან პედაგოგები და საჯარო მოხელეები შეხვდნენ.

დაჯილდოება გრიფით „საიდუმლო“

იმ დროს, როდესაც საქართველოს დასაქმების მინისტრი პაატა ტრაპაიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობის I სართულზე ჟურნალისტებს ხვდებოდა, შენობის III სართულზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი „დახურულ“ შეხვედრას მართავდა ოზურგეთის საზოგადოების 10-კაციან ჯგუფთან.

–მინდა მოგილოცოთ და საქართველოს პრეზიდენტის სახელით ღირსების ორდენები გადმოგცეთ მიმართა რამაზ ნიკოლაიშვილმა მათ და ჯილდოები გადასცა.

დაჯილდოებულთა შორის არიან: ბახვის საჯარო სკოლის დირექტორი მზია ვაშალომიძე, ექიმი დავით მდინარაძე, მწვრთნელი აზა კოპალიანი, შპს „გზამშენი18“-ის უფროსი თემურ ჯაჯვა, ბიზნესმენი მამია კალანდარიშვილი, II მსოფლიო ომის მონაწილე ნიკოლოზ შუბლაძე, ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველი მანანა ლომაძე, მაკვანეთის და ნატანების საჯარო სკოლის პედაგოგები...

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, თუ რატომ ცდილობს ხელისუფლება თავისი საქმიანობა დაფარული იყოს საზოგადოებისათვის; რატომ უკეთებს ადგილობრივ მედიას იგნორირებას, რისი გამჟღავნების ეშინია?! მით უმეტეს ჩამოთვლილ პიროვნებებს საზოგადოება პატივს სცემს.

ჩვენ ვულოცავთ ყველა დაჯილდოებულს მთავრობის ჯილდოს და ვუსურვებთ მუდამ ყოფილიყვნენ სამშობლოს სამსახურში.

პური გაძვირდა, გაზიც...

საქართველოს მოსახლეობა ისე მიეჩვია ფასების მატებას ყოველდღიური მოხმარების პროდუქტზე, რომ რეაგირებასაც არ აკეთებს. პური გაძვირდა და ის ძველ ნიშნულს დაუბრუნდა გაზაფხულზე „გაიაფებისას“ შემცირებული წონით, – საუბრობს უკმაყოფილო მოსახლეობა

ახლა კი ბუნებრივი აირი გაძვირდა. ამის მიზეზი, როგორც ამბობენ აზერბაიჯანში გაზის მიმწოდებელი ერთ-ერთი საწარმოს გაჩერება გახდა. უკვე კვირის დასაწყისში რიგები გაჩნდა „სოკარ გაზის“ კუთვნილ ბუნებრივი აირის ჩამომსხმელ ავტომანქანასთან „სოკარის“ ბენზინ ჩამომსხმელი სადგურის მოპირდაპირედ. აქ რიგების გაჩენისთანავე კუბური მეტრი გაზის ღირებულებამ 3 ლარიდან 4 ლარამდე აიწია. ორი დღის წინ გაზის მარაგიც ამოეწურათ და მისი მომხმარებლები, რომლებსაც მაგისტრალური გაზსადენით არ მიწოდებათ, ბუნებრივი აირის გარეშე დარჩნენ.

როგორც ამბობენ, ეს დროებითი მოვლენაა და გაზს შემოიტანენ, მაგრამ მოსახლეობა შეშფოთებულია იმის გამო, რომ ეს შეფერხება გაზის მორიგი გაძვირების საბაბი გახდება.

„უმუშევრობა, ეს არის გაუნათლებლობის, ცოდნის ნაკლებობის შედეგი“

ნუგზარ ასათიანი

ასე ხსნის უმუშევრობის მიზეზს საქართველოს დასაქმების მინისტრი პაატა ტრაპაიძე. იგი ჟურნალისტებს მუნიციპალიტეტის გამგეობაში საჯარო მოხელეებთან გამართული შეხვედრის შემდეგ შეხვდა და დასაქმების პრობლემებზე ესაუბრა.

მინისტრმა თავდაპირველად განაცხადა, რომ მას სურდა ადგილობრივ მედიასაშუალებებს შეხვედროდა და ამიტომ მე-9 არხის და რადიო „იმედის“ კორესპონდენტები ამ შეხვედრას არ ესწრებოდნენ. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა მითხოვეს შენობის გარეთ მყოფი ჟურნალისტების შემოშვება, პაატა ტრაპაიძემ თავად შემოიყვანა ისინი.

–წარმოშობით გურული ვარ, ამიტომ პირველი ასეთი შეხვედრა გურიაში გავმართე.

თითოეულ რეგიონს სჭირდება ცალ-ცალკე მიდგომა. თუ გურიაში გამოგვივიდა რამე, რომელიც რთული რეგიონია და ყველა გურული პოტენციური პრეზიდენტია, მაშინ საქართველოს სხვა რეგიონშიც გამოგვივა. მე კმაყოფილი ვარ ადგილობრივი გუბერნატორით, რომელიც ამ თემას პოზიტიურად უყურებს.

მე გურიაში ბევრ ადამიანს ვესაუბრე, მაგრამ არ ვაპირებ მედიისგან მოვისმინო მათი პრობლემები. მე მინდა მედიას ვუთხრა, მხოლოდ, რა გაკეთდა და რის გაკეთებას ვაპირებთ.

ჩემი პირველი ქმედითი ნაბიჯი ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ხალხთან შეხვედრებია. ჯერ პრობლემა უნდა შევისწავლოთ და შემდეგ გამოსავლის გზები ვეძიოთ. პროფესიით ექიმი ვარ (როგორც არ არსებობს ყოფილი კაბ თანამშომელის, ისე-ექიმიც) უნდა აღმოვაჩინოთ, რა დახმარებას სჭირდება ხალხს პრობლემის მოსაგვარლებლად, რომ თავიანთ თავს, ოჯახებს მეტი სიკეთე მოუტანონ.

მსოფლიო შრომის ორგანიზაციის კლასიფიკაციით, ადამიანს, რომელსაც 2500 კვადრატულ მეტრზე ნაყოფიერი მიწა აქვს, ის არ ითვლება უმუშევრად. პრობლემა ის კი არ არის, რომ ისინი არ მუშობენ. ისინი ვერ მუშობენ ნაყოფიერად და ვერ იღებენ იმ საჭირო დოვლათს, რომელიც ეყოფათ მთელი წლის განმავლობაში. ადრე მზადდებოდა უხარისხო ჩაი (ნამგლებით კრეფდნენ) უხარისხო საკონსერვო ნაწარმი და იგზავნებოდა ციმბირში, სადაც მთავარი იყო ხელი მოეწერათ მიღებაზე და დამამზადებელს შემდეგ ამ პროდუქციის ბედი არ აინტერესებდა. ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემაა –ცოდნის არქონა. ჩვენ ვერ ვაკეთებთ, ვერ ვქმნით ისეთ პროდუქციას, რომელიც კონკურენტუნარიანია საქართველოს ბაზარზეც კი. მთავარი პრობლემაა, შექმნილ პროდუქციას ვერ ვფუთავთ, ვერ ვინახავთ სათანადო საწყობებში, მაცივრებში. 16 ათასი ტონა ციტრუსი მოდის გურიაში, საიდანაც ნახევარზე მეტი ლპება.

მესაქონლეობის განვითარება ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა გახდეს გურიაში. არ არის წესიერი ვეტერინარები. ორ-სამ სოფელს ერთი კვალიფიციური ვეტერინარი უნდა ჰყავდეს. რა არის მიზეზი არ ყოლის? ცოდნა.

ჩვენ ვერ ვიყენებთ 2500 კვმეტრი მიწის ნაკვეთს, ვერ ვიღებთ იმ დოვლათს, იმ დროს, როცა მას ეფექტურად იყენებენ ისრაელში, კიპროსზე, ბალტიისპირეთში. როცა ბალტიისპირეთში შრომის ბირჟას ქმნიდნენ, ჩვენთან ქვებს ესროდნენ ერთმანეთს.

თქვენგან განსხვავებით, სოფლის რწმენულებმა უფრო თამამად და სწორად ისაუბრეს. ერთ-ერთი სოფლის გამგებელმა თათბირზე სთხოვა მეორე სოფლის გამგებელს: 20 კაცი გამომიგზავნე და მშენებლობაზე დავასაქმებო.(?!) ჰესები შენდება თქვენთან. აგზავნიან სამუშაოდ ადამიანებს იქ და ისინი ბრუნდებიან უკან–ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთო(?!). ადამიანები მეტს საუბრობენ, ვიდრე რამეს აკეთებენ. რომელი ქვეყანა აკეთეს ამას, რომ 5-6 საათი რესტორნებში ისხდნენ? 1000 სულიან ქალაქებს იხდიდნენ?

ჩვენი პრობლემა არის ცოდნა. ხალხში ცოდნა უნდა შევიტანოთ. თითოეულ სოფელს უნდა მივუდგეთ ინდივიდუალურად. ჯერ დიაგნოზი უნდა დავუსვათ და შემდეგ უნდა ვუმკურნალოთ. სოფლებში ნიჭიერი ხალხი უნდა აღმოვაჩინოთ. უნდა ჩავუტაროთ ტრენინგები. ელექტრონულ ბირჟას უნდა მივმართოთ. სახელმწიფო ვერც ერთ თანამდებობაზე ვერ დანიშნავს ადამიანს კონკურსის გარეშე. ყველას ექნება პირადი ნომერი. ჩვენ თავისუფალი ბაზრის ქვეყანა ვართ. ჩვენ გვჭირდება კვალიფიციური კადრები. დღეს ბიზნესი ეძებს სამუშაოზე ხალხს და ვერ ნახულობს. ვეძებთ კვალიფიციურ ბუღალტრებს, კვალიფიციურ აირშემდუღებელს, კვალიფიციურ სამუშაოთა მწარმოებელს და ვერ ვნახულობთ. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს იმ კვალიფიკაციას, რაც საჭიროა.

სახელმწიფო ადამიანებს მოსცემს განათლების ვაუჩერს. ის გლეხი, ახალგაზრდა გადამზადდება სხვა პროფესიაში და დავასაქმებთ. ჩვენ ადამიანებს დავეხმარებით ცოდნის შეძენაში“

ხანგრძლივი შეხვედრისას ახალბედა მინისტრმა დასვა შეკითხვა: პირველი ქათამი იყო თუ კვერცხი? და მანვე უპასუხა: პირველი იყო განათლება.

პაატა ტრაპაიძე ჟურნალისტებს თავის ბიზნესზეც ესაუბრა და სიამაყით აღნიშნა, რომ 11 სიახლე აქვს დანერგილი საქართველოში, 12 ბიზნესი განხორციელებული, რომ ანაკლიის ხიდი მისი ავტორია და სინანული გამოხატა იმის გამო, რომ ეს ხიდი გინესის რეკორდების წიგნში გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხვდა.

ხანგრძლივი საუბრის შემდეგ შესაძლებელია, რომ ითქვას, ახალი სამინისტროს შექმნით მართლაც შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილი. სამინისტროს სტრუქტურებში რამდენიმე ასეული ადამიანია დასაქმებული.

7 დღის ამინდის პროგნოზი

30 ივლისი ორშაბათი	1 აგვისტო სამშაბათი	2 აგვისტო ოთხშაბათი	3 აგვისტო ხუთშაბათი	4 აგვისტო პარასკევი	5 აგვისტო შაბათი	6 აგვისტო კვირა
მზე, ღრუბელი +23+30	მზე, ელ-ჭექი +19+29	მზე, ელ-ჭექი +21+31	მზე, ღრუბელი +21+31	მზე, ღრუბელი +23+31	მზე, ელჭექი+ 21+27	მზე, ღრუბელი +22+29

უჩვეულოდ ხმაურიანი საკრებულოს სხდომა

მარი კოძოევი

25 ივლისის საკრებულოს სხდომა ხმაურიანი გამოდგა. მაშინ, როცა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, კობა ხაბალაშვილი დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 1012 წლის ბიუჯეტის" შესრულების მეორე კვარტალის ანგარიშს იხილავდა, საკრებულოს წევრს, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელს, ლელა ნაცვალაძეს კითხვები გაუჩნდა.

ლელა ნაცვალაძე: ჩემთვის გაუგებარია და მაინტერესებს რაღაც საკითხები. კატასტროფულად გაიზარდა ოზურგეთის ბიუჯეტი. 2012 წლის დასაწყისიდან დღემდე 16 მილიონზე ავდით. მაგრამ კარგი იქნებოდა უფრო დეტალებში განგვეხილა ეს ყველაფერი. ჩემთვის გაუგებელია, რას ითვალისწინებს სხვადასხვა მუხლზე მიწერილი ხელშეწყობა. მაგალითად კომუნალური მომსახურების ცენტრს რა ხელშეწყობას უკეთებთ, დასუფთავების სამსახურს, პოლიციას. არადა გაცილებით მნიშვნელოვანია საკითხები, რომელსაც გვერდი ავუარეთ.

ალეკო მამეშვილი: კამერებია აქ და ლელა მომზადებულია ამისთვის.

ლელა ნაცვალაძე: პოზირება და ფოტო გალერეები თქვენსკენ მოიკითხეთ.

ალეკო მამეშვილი: თქვენთვის შეიძლება ბევრი რაღაცეები არ არის პრიორიტეტული, მაგრამ ჩვენთვის ყოველთვის პრიორიტეტულია. მაშინ სიტყვა არ დაგცდენია 80 000 ლარი სოციალურ დაცვაში რომ დავამატეთ.

ლელა ნაცვალაძე: ბატონო ალეკო მე გაკეთებული საქმეების შეფასებაც შემიძლია.

ალეკო მამეშვილი: არ შეგიძლია?

ლელა ნაცვალაძე: სპეციალურად ქმნი სიტუაციას, რომ სხვა საკითხებს გაუკეთო იგნორირება და შემოდიხარ ჩემთან პოლემიკაში.

ხმაური მოჰყვა დეპუტატ, თემურ სალუქვაძის გამოსვლას.

თემურ სალუქვაძე: ძალიან კარგია რომ მშენებლობები მიდის, გზები იგება. ეს ყველაფერი კარგია ჩვენი რაიონისათვის. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ყველაფერს ამ ხელისუფლებას არ მივაწერ. დიდება მინდა ვუთხრა უფალს და მადლობა ბიძინა ივანიშვილს. პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას უკავშირდება ეს ყველაფერი.

ალეკო მამეშვილი: როგორც დეპუტატებმა იმაზე ისაუბრეთ, თავად რა გააკეთეთ. თქვით რომელ ბიუჯეტში მიიღეთ მონაწილეობა. ადამიანებმა, რომლებმაც ბიუჯეტის დამტკიცების დროს მხარი არ დაუჭირეს არცერთ ბიუჯეტს, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს 800 000 ლარის გამოყოფას სოციალური დახმარებებისათვის 1 300 000 ლარის გამოყოფას სოფლებში ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, გზების დაგებას, სასპორტო სკოლის რეაბილიტაციას, ახლა დგებიან და კიდევ რაღაც პრეტენზიებს აცხადებენ. თქვენ არაფერი არ გაგიკეთებათ. ჩვენ დეპუტატები ვართ ოზურგეთის. ყველას მოგვთხოვენ პასუხს რა გავაკეთეთ. ჩაატარეთ ამომრჩეველთან შეხვედრა? ვერ ჩაატარებთ, ძაან მაინტერესებს ვინ დაგესწრებათ და რას ეტყვით თქვენს ამომრჩეველს. ვერაფერსაც ვერ ეტყვით ერთი თეორის განაწილებაშიც არ მიგიღიათ მონაწილეობა.

თემურ სალუქვაძე: მე არ ვარ ის დეპუტატი ვინც სწორად არ აფასებს რაღაცეებს. ეს იცით ძალიან კარგად თქვენც. პირიქით, მე მივესალმე როცა სოციალური დახარებები გაიზარდა. მაგრამ მე ჩემი პოზიცია როგორც დეპუტატმა დავაფიქსირე. ეს არის რეალობა. ამაზე საუბრობს მთელი საქართველო, გითხარით სიმართლე და შევეგუოთ ამ სიმართლეს. კიდევ ერთხელ გეტყვით საქართველოში პოლიტიკურ პროცესებს დღეს მართავს ბიძინა ივანიშვილი.

ხმაურიანი გამოსვლების შემდეგ ორივე დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ და თემურ სალუქვაძემ საკრებულოს სხდომა დატოვა.

კახაბერ ღლონტის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატის" თავმჯდომარე კახაბერ ღლონტმა 2011 წლის ივლისიდან 2012 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის ანგარიში წარმოადგინა. ის ჟურნალისტებს იმ კონკრეტული საქმიანობის შესახებ ესაუბრა, რომელიც მან და ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებმა" ამ ხნის მანძილზე ჩაატარა.

თხინვალელები პრობლემებზე საუბრობენ

ნინო ნიკოლაიშვილი

–„ჩვენი სოფლისთვის გამოყოფილი იყო სასაცილო თანხა (15 888 ლარი), და რაც შეეძლოთ ის გავაკეთეთ" – აღნიშნა სოფ. თხინვალის დეპუტატმა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიიდან **მერაბ ხომერიკმა** მოსახლეობასთან გასული წლის მუშაობის საანგარიშო შეხვედრაზე. ამ თანხიდან 5300 ლარი დაიხარჯა ჭალვათას გზის შესაკეთებლად, თუმცა დეპუტატის თქმით, ეს თანხა არის წყალში გადაყრილი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ გზა შეძლებისდაგვარად შეკეთდა, ასეთი სახის შეკეთება შედეგიანი არ არის.

მყარად ჩამოყალიბებული პოზიციით, რომ სოფელში თითოეული თეორი მიზანმიმართულად დაიხარჯა, შედეგებიც ნორმალურია და ამ წლისთვისაც ივივეს ელოდებიან, დარბაზში წარმოდგენილნი იყვნენ ბაღის გამგე მასწავლებლებთან ერთად, სკოლის დირექტორი, გამგებელი.

თამარ ცერცვაძე – ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მოწესრიგებულიყო შიდა გზები, თანხის ნაწილით კი ბაღისთვის შეეძინათ ინსტრუმენტები, მოეწყოთ ეზო და სველი წერტილი. სოფლის მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული განხილვების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ ბაღში ამ დროისათვის ირიცხება 25 ბავშვი, რომლებსაც 9 თანამშრომელი ემსახურება.

დეპუტატმა ყველა ის პროექტი ჩამოთვალა, რომელიც მიმდინარე წელს უნდა განხორციელდეს, რისთვისაც დაიხარჯება 20188 ლარი. აღნიშნა ისიც, რომ სოფელში სოციალურ დახმარებს 17 ოჯახი (49 ადამიანი) ღებულობს; ერთი წლის განმავლობაში გარდაიცვალა 33 ადამიანი და დაიბადა 10 ბავშვი. სოფლის ამჟამინდელ მდგომარეობას თხინვალელთა ნაწილი ასე აფასებს: – **სად წავიდეთ, წასასვლელი რომ არ გვაქვს, თორემ ამ სოფელში ალარ გაჩერება. ჩვენსავით გაჭირვებული არც ერთი სოფელი არ იქნება.**

– რატომ? ყველას არ გამოუთქვამს უკმაყოფილება ჩვენთან საუბრისას.

– ესენი გამგებელი, სკოლის დირექტორი, ბაღის გამგე და კიდევ რამდენიმე მათი მომხრე იქნება, ისინი კმაყოფილები იქნებიან, აბა რა იქნება. სამსახურებიც მაგათია და მთელი სოფელიც. ძმა გამგებელი, და – სკოლის დირექტორი, რომელმაც სკოლაში მის ახლობლებს მოუყარა თავი და სკოლა პოლიტიზირებული გახადა, როგორც უნდათ ისე მართავენ სოფელს. ყველა სიკეთე მიიღეს სახელმწიფოსაგან, მათ შორის დევნილობაც გამოიყენეს, ბინა მიიღეს, დაამატა მეორემ. ამდენი წელია არავინ გვეკითხება უნდა თუ არა სოფელს ეს ადამიანები. შეიძლება ხელისუფლება ბევრ კარგ პროექტს ახორციელებდეს, მაგრამ აქ არაფერი კეთდება.

როცა გაიგეს ჟურნალისტს ესაუბრებოდნენ, შეწუხებულებმა გვითხრეს, ჩვენი ვინაობა არ

დაწეროთ, ისედაც გაუსაძლის მდგომარეობაში ვართ და კიდევ უსიამოვნებები არ გვჭირდებაო

შეხვედრის მიმდინაროებისას თანდათან გააქტიურებულმა მოსახლეობამ უკმაყოფილება გამოთქვა განსახორციელებელ და განსახორციელებელ პროექტებზე.

გურამ ბაბილოძე: – როცა ჩვენთან გამგებელი იყო ჩამოსული და 20000 ლარზე იყო საუბარი, სხვა საკითხებზე შევთანხმდით. ეს საკითხები არც ერთი არ ჩაუწერიათ. მაშინ IV ბრიგადის გზაზე იყო საუბარი. რაც შეეხება შრომასთან მაკავშირებელ გზას, მის რეაბილიტაციაში შრომამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ნანული ლაბაძე: – უნდა გაკეთდეს ეკლესიასთან მისასვლელი გზა. რაც ადრე გაკეთდა, ცუდად არის გაკეთებული.

ბადრი ხურციძემ გზის მონაკვეთზე დასახარჯ თანხას ხრეშის სახით ნიაღვარს გატანებული უწოდა, და წყლის პრობლემის მოგვარებაც მოითხოვა, რამაც გაღიზიანა გამგებელი ბესარიონ ბოლქვაძე: – ბადრი შენ თუ გგონია მე წყალი არ მინდა ძალიან ცდები. „კანისტრები" აგერ მიწყია მანქანაში. ეს თანხა წყლის გამოყვანას არ ეყოფა. მას მისი გადარიცხვები აქვს და ჩვენამდე ყველა არ მოდის. თქვენ ხელი მოაწერეთ გზას.

– კი მაგრამ ხელს ვაწერ და ვერ ვხედავ?

ალკაზარ ხომერიკი – არ ვეთანხმები აქ მოსმენილ პროექტებს. არ გვაქვს იმის ფუფუნება, აღნიშნული გზისათვის 7 ათასი ლარი დავხარჯოთ. არ სჭირდება ამ გზას ამდენი თანხა.

– ალკაზარ, შენ თუ გგონია ამ გზას ჩემთვის ვიკეთებ, ცდები, მე მეორე გზითაც მივალ სახლში – მიაგება გამგებელმა.

სოფელში ჯერ კიდევ არ ვართ ჩამოყალიბებული რა გვჭირდება. აუცილებელია შეჯერდეს ექვსივე უბნის პრიორიტეტები და ამ უბნების წარმომადგენლებმა შეთანხმების შემდეგ ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებები. ასეთ საუბარს და კამათს არავითარი აზრი არ აქვს – აღნიშნა **ოთარ დოლიძემ.** მანვე დასვა ძველი სკოლის დანგრევის საკითხიც.

შეხვედრას ესწრებოდა სდკ ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ლევან ხინთიბიძე,** რომელმაც, ხუთწლიანი გაწერილი გეგმის განხორციელების მნიშვნელობაზე ისაუბრა და ურჩია მოსახლეობას ხელისუფლებასთან დიალოგის რეჟიმში ყოფნა.

–ხელისუფლებასთან დიალოგის რეჟიმში უნდა იყოთ, რათა უკეთესი შედეგები მიიღოთ. წამგებიანია ყოველწლიურად ერთი და ივივე გზის მოხრეშვა. სჯობს ერთი თანხით კაპიტალურად შეკეთდეს გზის ერთი მონაკვეთი.

კობა ცერცვაძე: – სოფლის მოსახლეობამ თავად უნდა იზრუნოს თავიანთი პრობლემების მოგვარებაზე. უნდა შეადგინონ პროექტები თავიანთი ხარჯთაღრიცხვით, რომელსაც მეტი მხარდაჭერი და თანადამფინანსებელი ეყოლება, ის პროექტები განვახორციელოთ.

სურვილი გვქონდა თხინვალის ბაღის ოფისი გვენახა, მაგრამ ბაღის გამგეს სხვებთან ერთად ადრიანად დაეტოვებინა დარბაზი.

უკვე დაშლილი მოსახლეობა ერთმანეთში კვლავ აგრძელებდა საუბარს. ერთგან ასეთი რეპლიკა გაისმა, – **ჯერ ეს რა ფულია სოფლისთვის და მერე, რაც არის , ამასაც თავზე უნდა დაადგეს სოფელი, რომ ჯერ თავში არ მოიპარონ და შემდეგ ადგილზე.**

შეხვედრიდან რამდენიმე დღეში რედაქციას თხინვალელი **ნონა ბაბილოძე** დაუკავშირდა და გვთხოვა თავისი მოსაზრებებიც დაგვეფიქსირებინა სოფლის პრობლემებზე. – ჩვენი სოფლის უდიდესი პრობლემა ჩვენი სოფლის საკრებულოს რწმუნებულია, რომელიც ყოველი უსამართლო, არაკანონიერი საქმის ხელის შემწყობია. იგი წლების მანძილზე უმოწყალოდ ანიავებს სოფლის პროგრამით გათვალისწინებულ სახსრებს, ჩვენს თვალწინ უამრავ დანაშაულს ჩადის, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა მფარველობს. ჩვენი პრობლემა მისი და, სკოლის ვითომ „ჰუმანური დირექტორიც" არის, რომელსაც ამ ნომინაციაში გაამარჯვებინეს, მაგრამ მისი ქმედება ძალიან შორს არის ჰუმანურობასთან. ამის ნათელი მაგალითი თავად მე ვარ – აღნიშნა მან.

უფლის სასწაული ნახევარი საათი წყალქვეშ

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთი შესძრა პატარა ბიჭის ურთულესმა პრობლემამ. ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა – გადარჩება?

ზაფხულის ხვატს გარიდებული, მდინარეში ჭყუმპალაობდა დიდ-პატარა. ვერავინ შენიშნა, როგორ ჩავარდა წყალში 13 წლის მიშიკო ახვლედიანი. ბავშვის საეჭვო ცურვა შენიშნა მხოლოდ რამდენიმემ. ეჭვი გაუჩნდათ, ვინმე ხომ არ ჩაიძირაო, იქვე პატარა ბიჭმა ამოყვინთა, – მე ვიყავიო და, .. ჩათვალეს ყველაფერი კარგად იყო. ცოტა ხნის შემდეგ მდინარესთან გასაგრილებლად მივიდა მიშოს მეზობელი ცოტნე მურცხვალაძე და მისთვის ჩვეული ნახტომით წყალში თავით გადაეშვა. მალევე გაისმა შეშინებული ბავშვის ყვირილი, –მდინარის ფსკერზე ვიღაც ბავშვია დამხრჩვალი! ცოტნემ მაშინ არ იცოდა რომ ეს ბავშვი მიშიკო იყო. სასწრაფოდ დაუწყეს ბავშვს ძებნა. მდინარე ამ ადგილზე სამ მეტრამდე სიღრმისაა – ამბობენ. კარგა ხნის ძებნის შემდეგ ამოიყვანეს. ბავშვს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ერთიანად გაშავებულიყო.

პირველადი დახმარება სასწრაფოს მოსვლამდე აღმოუჩინეს. ოზურგეთის საავადმყოფოდან რეანიმობილით ბათუმშიც გადაიყვანეს, მაგრამ არ იყო იმედი. ყველა საგონებელში ჩავარდა. მიშიკო არავის ემეტებოდა. დახმარებისთვის რამდენიმეგან დარეკა ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელმა რომან ლომაძემ (მიშიკო თავის ტყუპისცალ დასთან მონიკასთან ერთად ამ ცენტრის ბენეფიციარია.) და მომხდარი ფაქტი გააგებინა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს რამაზ ნიკოლაიშვილს, მხარის გუბერნატორს ვალერი ჩიტაიშვილს, მუნიციპალიტეტის გამგებელს ილია ვაშაყმაძეს.. მათ მიერ განხორციელებულმა ზარებმა იმ ურთულეს პერიოდში ბევრი რამ გადაწყვიტეს. თამარ დუმბაძემ მადლობა გადაუხადა თანადგომისათვის ასევე ბიზნესმენ ბეგლარ სიორიძეს.

სამი დღის შემდეგ იმედმა ცოტათი მოიმატა. მიშო ახლა თბილისში, იაშვილის კლინიკაშია და კვლავ იბრძვის სიცოცხლისათვის. თუმცა მისი ამჟამინდელი მდგომარეობაც უფლის სასწაულად შეიძლება ჩაითვალოს.

27 ივლისს, რისთვისაც მიშიკო დაიკოსთან ერთად განსაკუთრებულად ემზადებოდა (მიშო საუკეთესოდ კითხულობს ლექსებს და ერთობლივ კონცერტში იმ დღესაც ლექსი უნდა წაეკითხა), ოზურგეთის თეატრში ქუთაისელ მომღერალთა მონაწილეობით საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა. რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი არჩილ გოგბერაშვილი გახლდათ. ამ დღეს ოზურგეთს სტუმრობდა პროექტ „ნიჭიერის" გამარჯვებული ვანო ფიფია. კონცერტზე შემოსული თანხით, ცენტრის ბენეფიციართათვის საჩუქრები უნდა გადაეცათ, თუმცა ერთიანად გადაწყვიტეს, რომ ეს თანხა მიშა ახვლედიანის დასახმარებლად გადაერიცხათ.

ვლადიმერ ერქომაიშვილი

„მომღერლებს საქართველოში რა გამოლევს, მაგრამ გურული სიმღერების ისეთი შემსრულებლები, როგორებიც ძმები არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილები იყვნენ, იშვიათია,“–წერს თავის წიგნში „მივალ გურიაში, მარა...“ ანზორ ერქომაიშვილი.

ამჯერად, გიგო ერქომაიშვილის ლეგენდარული ოჯახის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ბერმუხის, უბადლო მომღერლის და სწორუპოვარი ლოტბარის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ლადიკო ერქომაიშვილის შესახებ ანზორ ერქომაიშვილის მოგონებების წიგნების მიხედვით მოგითხრობთ.

ანზორ ერქომაიშვილის მოგონებებიდან: –„ ძაღლმა ვიღაცას შეუყეფა. გარეთ გავიხედე. ლადიკო და ნანიო მოვიდნენ-მეთქი, ვახარე ბაბუას. ბაბუას უცბათ შეეცვალა ხასიათი, სახე გაებადრა და მივხვდი, რომ ამ წუთში ამაზე მეტად არაფერი გაახარებდა...

სანამ სუფრა გაიშლებოდა, ძმებმა ეზო მოიარეს, მოესიყვარულნენ თითოეულ ხეს. მოინახულეს საწნახელი, ბაღჩაში მწვანილი თავიანთი ხელით დაკრიფეს, ხილი გასინჯეს. –აქაურს ყველაფერს განსაკუთრებული გემო აქვსო,–თქვა ლადიკომ...

ლადიკომ გიგოსდროინდელ ტუჩმოტეხილ ნახევარფუთიან დიდ დოქში, გურიაში „ჭარიკას“ რომ ეძახიან, ღვინო ჩაასხა და სამზადში შეიტანა.

–ეთერ,–დაუძახა დედაჩემს, -ძველი ხის სუფრა და სამფეხა სკამები მოიტანე, აქ დავსხდებით!

დედაჩემმა იუარა, –ოდაში მობრძანდითო, მაგრამ ძმებმა დაარწმუნეს, აქ გვირჩევნიაო და სამზადში გაიშალა სუფრა.

თამადად ლადიკო დააყენეს. „დღეს საღვთო მადლმამ შეგვკრიბა ჩვენ,“ გაისმა პირველი საგალობელი და მივხვდი, რომ დღევანდელი სუფრა ძველებური „სუფრის წესის“ მიხედვით წარიმართა. დიდებული საგალობელი იყო და ვინატრე, უცხო ვინმე არ შემოგვწრებოდა და თავისი მაღალფარდოვანი სადღეგრძელოებით ეს შესანიშნავი წესი არ დაერღვია.

ლადიკომ ჭიქა აიღო.

– ამ ოჯახს გაუმარჯოს, გიგოს ოჯახს, აქ თითოეული ძირი ხის დარგვა მახსოვს. ამ ოჯახში ბევრი სტუმარი მახსოვს. ამ ოჯახში შესანიშნავი მომღერლები მახსოვს, გიორგი მახსოვს ბაბილოძე, ჩემი ბაბუა, სიმღერით რომ შემოვიდოდა ჭიშკარში. თითქოს გუშინ იყო, ჩვენ რომ შენოდენები ვიყავით, როგორც შენ გვისმენ ახლა, ჩვენც ისე ვუსმენდით ამ სუფრაზე მსხდომთ: სამუელ და ილარიონ ჩავლეიშვილებს, ბესონია ინწკირველს, გიორგი ბაბილოძეს, ალექსანდრე მახარაძეს და ივლიანე კეჭაყმაძეს, ნესტორ კონტრიძეს, მელქისედეკ ნაკაშიძეს, გიორგი იობიშვილს, ნანიკო ბურძგლას და გიგო ერქომაიშვილს. ესენი ხშირად ისხდნენ ამ ოჯახში და ერთად მღეროდნენ. და იცი, ეს რა იყო? მსგავსი შესრულება და სიმღერები მე ჯერ არ მომისმენია და ვერც მოვისმენ, სამწუხაროდ. იცი, ესენი ვინ იყვნენ? –გურული სიმღერების დიდოსტატები. აი, ამათ განავითარეს გურული სიმღერები და აიყვანეს განვითარების მწვერვალზე. დიახ, ამათ დაუდვეს ზღვარი გურული სიმღერების განვითარებას და ბედის ირონია არ გინდა? მაშინ ტექნიკა არ იყო ისე განვითარებული, რომ მათი სიმღერები ჩაეწერათ. ახლა ხომ ხედავ, ბაბუა, აგერ მაგნიტაფონი გაქვს, მაგრამ გურული სიმღერების ისეთი შემსრულებლები აღარ არიან.

–აი, ასეთი სტუმრები ახსოვს ამ ოჯახს. ღმერთმა ფუძე ნუ მოუშალოს და კაი სტუმრები ნუ გამოულიოს, –თქვა ლადიკომ და დალია...“



„1929 წელს ლენინგრადში მიგვიწვიეს ოლიმპიადაზე გამარჯვებულები,–დაიწყო ლადიკომ სიმღერის დამთავრების შემდეგ, –გიგო მაშინ 90 წლისა შესრულდებოდა, ხოლო გიორგი 95-ს მიღწეული. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. პრესამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს სიმღერებს. ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორები დაესწრნენ კონცერტს. ისინი აღაფრთოვანა ამ ორი მოხუცის სიმღერამ, კერძოდ, გიორგის კრიმანჭულმა. კონცერტის შემდეგ მას ყელიც კი გაუსინჯეს, რაიმე ხომ არ უდევს შიგო.

ერთ-ერთ კონცერტს დიდი ფრანგი მწერალი რომენ როლანი მაქსიმ გორკთან ერთად დაესწრო. ჩვენმა სიმღერებმა ისინი აღაფრთოვანა. კონცერტის შემდეგ მოვიდნენ და გულითადი მადლობა გადაგვიხადეს. რომენ როლანი ჩვენით დაინტერესდა და ბევრი შეკითხვა დაგვისვა. გამომშვიდობებისას ითხოვა, მომასმენინეთ ეს საოცარი „ხასანბეგურაო,“ და როცა სიმღერა დავამთავრეთ, გვითხრა: **„ბედნიერია ის კუთხე, სადაც ასეთი ხალხი ცხოვრობს, ბედნიერია ის ხალხი, ვისაც ასეთი სიმღერები აქვსო.!“**

გიპიუსმა ჩვენი სიმღერები პროფ. კუშნარიოვის ხელმძღვანელობით ფილფონოგრამზე ჩაწერა. ეს ჩანაწერები ახლა სადაა, არ ვიცით...

როცა სუფრიდან ვდგებოდით, არტემმა ლადიკოს სთხოვა, ერთი „შავი შაშვი“ ვიმღეროთო. ლადიკომ დაიწყო. დაიწყო და, ღმერთო, როგორ ჩამრჩა ეს ხმა მეხსირებაში. რა საოცარი სითბო და ხავერდი ჰქონდა ხმაში, რამდენი ობერტონები, რამოდენა გრძნობა და სილამაზე.

იმ საღამოს ღვინო ცოტა შეისვა. სადღეგრძელოები ბევრი ითქვა, სიმღერები კიდევ უფრო მეტი. ძმებმა მოიგონეს ბევრი სასიამოვნო ამბავი. ჩვენ თითქმის დილამდე ვისხედით სუფრასთან და როგორ მინდოდა, ეს ღამე დიდხანს გაგრძელებულიყო.“ (*ანზორ ერქომაიშვილი, „მივალ გურიაში, მარა...“*)

შვილის, გიორგი ერქომაიშვილის მოგონებიდან: –„მამა საოცარი კაცი იყო. გარდა იმისა, რომ დიდებული მომღერალი იყო, უაღრესად თბილი ადამიანი იყო. II მსოფლიო ომში სკოლის მოსწავლე წავედი მოხალისედ. ფრონტზე მოხვედრამდე ტიფი დამემართა. ქ. მახაჩკალაში ვიწექი ჰოსპიტალში. ყოველდღიურად ჩემი პალატიდან 7-8 მიცვალებული გაჰქონდათ. ერთხელ მე, როგორც მიცვალებული მორგში გამაწესეს. საბედნიეროდ, მორგის ექიმმა მკვდრების დათვალიერებისას ჩემს მაჯას შეავლო ხელი. სუსტად მიცემდა. პალატაში დამაბრუნა.

იმდენად გაწამებული ვიყავი ნემსებისაგან, არავის ნახვა არ მინდოდა. პალატის ექიმი მოვიდა და მეუბნება:–გაიხედე ფანჯარაში, ვინ არისო. მე კედლისაკენ გადავბრუნდი. ექიმმა ნათქვამი გაიმეორა. გავიხედე... ფანჯარასათან მამა იდგა.

წარმოუდგენელი შეხვედრა იყო. მამამ ხურჯინით ბევრი რამ ჩამოუტანა ჩემს ექიმს, მათ შორის წითელი ღვინო. იცით, რა ქნა იმ ექიმმა? ველაფერი მე მიმაღებინა, მათ შორის ცოტ-ციტა წითელი ღვინოც და ფეხზე დამაყენა...“

.

ანზორ ერქომაიშვილის წიგნიდან „გზები, ადამიანები, სიმღერები...“

„... 1978 წელს მხცოვანმა ლოტბარმა და უბადლო მომღერალმა ლადიკო ერქომაიშვილმა ოზურგეთის გაერთიანებული გუნდი თბილისში ჩამოიყვანა. მისი გუნდი ფესტივალზე ამჯერადაც საუკეთესო იყო. ლადიკო ბაბუა თბილისში ჩემს ბინაზე ჩერდებოდა, საღამოობით დავსხდებოდით ხოლმე და ვსაუბრობდით გურული სიმღერის დღევანდელ მდგომარეობაზე, მის ბედზე, ვსაუბრობდით ძველ მომღერლებზე.

ლადიკო იშვიათი მოსაუბრე იყო, არაჩვეულებრივი მეხსიერების წყალობით ბევრი რამ ახსოვდა. არტემ ერქომაიშვილი უკვე ცოცხალი აღარ იყო და ჩემი დასაყრდენი გურულ სიმღერაში მისი უმცროსი ძმა –ლადიკო გახლდათ. მე მისგან ვიწერდი ნოტებზე იმ სიმღერებს, რომელთა ჩაწერაც არტემ ბაბუას სიცოცხლეში ვერ მოვასწარი. ერთი სიამოვნება იყო ლადიკოსთან მუშაობა; ხანდაზმულობის მიუხედავად, მისი ღელვნა ხმა შესანიშნავად ჟღერდა. მე და ბადრი თოიძე გვერდით მივუსხდებოდით ხოლმე ლადიკო ბაბუას და მასთან ერთად ვმღეროდით ძველ გურულ სიმღერებს. ჯერ ხომ უბადლო ხმა ჰქონდა, მერე ისეთ ვარიანტს შემოგთავაზებდა, სიმღერის დროს ისე იმპროვიზირებდა, რომ ხანდახან ჩემი ხმა მავიწყდებოდა, მომენტალურად ვჩერდებოდი და მისი სიმღერით ვტკბებოდი.

„ლადიკოს ტკბილი სიმღერა,
ვისაც კი მოუსმენია,
იტყვის, ბულბული თუ გალობს,
ვარდზე რომ დაუსვენია...“

წერდა სერგო ჩხარტიშვილი.

მას შემდეგ 30 წელი გავიდა და ლადიკოს ხმა ახლაც მესმის. იგი უდავოდ ღმერთის მადლით მირონცხებული მომღერალი იყო.

–გურიაში ძველი მომღერლები ცოტანი დარჩნენ, ახალგაზრდები ნაკლებად არიან დაინტერესებული. გადავწყვიტე შევქმნა მამაკაცთა გუნდი და ახალგაზრდებს გალობა ვასწავლო. თუ ღმერთმა დამაცალა, ეს იქნება ჩემი უკანასკნელი ნამუშევარი, –თქვა ლადიკომ. მას ჩემი აზრი აინტერესებდა. მე, რასაკვირველია, იდეა მომეწონა და ვუთხარი, რომ ეს იქნებოდა ერთ-ერთი დიდი საქმე, რაც კი ოდესმე გაგიკეთებია-მეთქი...

რამდენიმე თვის შემდეგ ოზურგეთში გახლდით. ლადიკო ბაბუამ მთხოვა ახალი გუნდის რეპეტიციაზე წავყოლოდი. ამ გუნდში გაერთიანებული იყვნენ როგორც გამოცდილი მომღერლები: ვალერიან ბერიშვილი, ამირან თოიძე, სანდრო სურგულაძე, ალექსანდრე ჭანუყვაძე, რეზო რამიშვილი, ამირან ჩხარტიშვილი, გოდერძი გორდელაძე, ნოე ქათამიძე, კარლო ქუტიძე, ნოდარ გოგელია, ვახტანგ ცეცხლაძე და სხვები, ისე ახალგაზრდა მომღერლებიც: ანზორ ტუღუში, ტრისტან სიხარულიძე, რეზო მახარაძე, გელა ცელაძე, ვასო ცეცხლაძე, ამირან გოლიაძე, ჯემალ ჭელიძე და სხვ. ამ გუნდში ლადიკომ ცალკე გამოჰყო „ახალგაზრდა ლოტბართა ანსამბლი“ –ის უმეტესად იმ ტრადიციულ საგალობლებს ასრულებდა, რომლებსაც დიდი ხანია აღარ გალობდნენ – საბჭოთა იდეოლოგია ხომ კრძალავდა სასულიერო საგალობლების შესრულებას.

მე განმაცვიფრა ამ გუნდის მაღალმა დონემ, განსაკუთრებით კი მომეწონა ახალგაზრდების მიერ შესრულებული ტრადიციული გურული საგალობლები.

ანსამბლი „ელესა

რეპეტიციის შემდეგ დადგა გუნდის სახელწოდების საკითხი. პირველი სიმღერა, რომელიც მათ შესანიშნავად შეასრულეს, იყო უძველესი გურული შრომის სიმღერა „ელესა,“–იქნებ გუნდისთვის ამ სიმღერის სახელი დაგვერქმია, –ვთქვი მე. გადაწყდა.

მალე „ელესა“ პოპულარული გახდა, მას უკვე იწვევდნენ ფესტივალებზე, კონცერტებზე, რადიო და ტელეგადაცემებში.

1981 წლის აპრილში თბილისში გაიმართა ლადიკო ერქომაიშვილის საიუბილეო საღამო; მას ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო. ლადიკოს პატივსაცემად მოვიდნენ ირაკლი აბაშიძე, გურამ ფანჯიკიძე, დოდო აბაშიძე, ბიძინა კვერნაძე, შოთა მილორავა, ჯანსუღ კახიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ თაქთაქიშვილი, რეზო ჭოხონელიძე, ფრიდონ სულაბერიძე, ჯანსუღ ღვინჯილია, სოკრატ სალუქვაძე, ზურაბ ქაფიანიძე, შოთა მშვენიერაძე, თენგიზ არჩვაძე და სხვა ცნობილი მოღვაწეები. იუბილე გაიმართა თბილისის პროფკავშირების სასახლეში. მონაწილეობდნენ: „ელესა,“ „რუსთავი“ (სიმრღერითა და ცეკვით), მამია ხატელიშვილის ანსამბლი, „მართვე“ და სხვა კოლექტივები. კონცერტი დადგა რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა.

იშვიათი სანახავი იყო 85 წლის ლადიკო იუბილარის სავარძელში. ბრგე, შავ ჩოხაში გამოწყობილი; მას აქეთ-იქედან ეჯდა „რუსთავის“ ორი ულამაზესი გოგონა. I-უბილე გახსმა მხცოვანმა მეცნიერმა გიორგი ჩიტიამ. ლადიკოს მიესალმნენ მწერლები, პოეტები, მეცნიერები, მუსიკოსები, ერთმანეთს ცვლიდა ანსამბლები, იყო ნამდვილი საზეიმო განწყობილება. კონცერტის მშვენება იყო ლადიკოს დის –ანეტას შვილთაშვილი, სამი წლის ირაკლი თოიძე, რომელმაც მამასთან და ბაბუასთან ერთად შეასრულა „მივალ გურიაში მარა.“

1981 წელს ფირმა „მელოდიაში“ „ელესამ“ ფირფიტისათვის ჩაწერა სიმღერები. „მე რუსთველი“-ში ლადიკო ბაბუამ ბანი იმღერა. ეს ჩანაწერი ვისაც მოუსმენია, დამერწმუნება, რომ ლადიკო ერქომაიშვილის მიერ შესრულებული ბანი საუცხოოა, იგი სრულიად განსხვავებული ვარიანტია. სამწუხაროდ, ეს სიმღერა აღმოჩნდა მისი ბოლო ფონოჩანაწერი.

ტელევიზიაში „ელესაზე“ გადაცემა მზადდებოდა, დარბაზში ციოდა, ლადიკო გაცივდა. მან გამოიწვია მისი ჯანმრთელობის გაუარესება. მოსკოვიდან მივიღეთ „ელესას“ ფირფიტები. ლადიკო ბაბუას იგი საავადმყოფოში მივუტანე. ფირფიტა მსვენივრად იყო გაფორმებული.

–რახან ამას მოვესწარი, აწი რაღა მომკლავსო, -თქვა მან, ფირფიტას აკოცა, გულში ჩაიკრა და მერე პროფესორ თომა ჯაფარიძესა და სხვა მკურნალ ექიმებს აჩუქა ავტოგრაფებით. ლადიკო 1982 წლის მაისში გარდაიცვალა.“

1988 წელს, აშშ-ში ანსამბლ „ელესას“ წევრები წარმატებული გასტროლების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულები პირველად ლადიკო ერქომაიშვილის საფლავზე ავიდნენ და იქედან შემოქმედის მონასტერს წვდებოდა სიმღერები.

გაზეთი „ალიონი“

ვილოცავთ!



ოზურგეთის ცხოვრებისა-ცალი ცხოვრებისა-ლიტერატურული ცენტრის „ძლიერების" ხელმძღვანელს, ჯერეიმიერ ლიტერატურის ავეთანლილი ჩხიკვიშვილს ლიბერალებან 60 წლისთავს ლა ეოსურვებთ ყველაზე ჯანრთელობა შემოქმედებით გეგეგმილებანის თვალი ყოველთვის ცხოვრებისა.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

მეგობრები.

შპს „მთისპირი 2010" აცხადებს ვაკანსიას ოფის-მენეჯერის თანამდებობაზე

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
განათლება—უმაღლესი;
სამუშაო გამოცდილება: სასურველია მომსახურების სფეროში მუშაობის გამოცდილება;

აუცილებელი ცოდნა და უნარები:
სასურველია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;
საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
კომუნიკაბელურობა, პასუხისმგებლობის და კონფიდენციალობის დაცვის უნარი;

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე:
(599) 78 78 66; (5510 10 10 04);

განცხადების მიღების ბოლო ვადაა 16 აგვისტო, 2012 წელი.

შპს „მთისპირი 2012" დირექცია

რუსუდან მეგრელიშვილი
ლექსები

დატირება

2011 წლის 26 მაისს დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრაცია

რა ჟამი დაგვიდგა,
რა ცოდვა ვაება,
რა მწუხარების გვესმის
ზარები.
ისევ გვჭირდება ქეთევანი
და ისევ გვჭირდება ხატები.
ბარტყები სოფლად დაჩეკილი,
სული ურყევი ქართული,
ისევ გვჭირდება ილია და
ისევ გვჭირდება თამარი.
სადა ხარ ზვიად!
სადა ხარ მერაბ!
თუ გესმით გმინვა — ქართული,
გაულეთ ქართველთ
სამოთხის ულამაზესი კარები.

ზოგიერთი მორწმუნე

ხან, ბარაბა ხარ
ხან, ქრისტე
რაც მოგინდება ისა ხარ,
ხან, ვის მოკვეთავ
ხან, ვისა
სულ ერთი არის შენთვისა,
სინდისის ტყვეებს დასცინი
ეშმაკზე სულ გაყიდულხარ.
ხან, ბარაბა ხარ
ხან ქრისტე,
რაც მოგინდება ისა ხარ.

იყიდება

სასწრაფოდ 2 ოთახიანი ბინა (გაზი და წყალი მიყვანილია ბინასთან)
მის: ანასეული, მეცნიერების ქ. 30 V სართული
ტელ: 599 69 49 50

„ნანა 2012"

ქ. ფოთში გაიმართა ცნობილი მოჭადრაკის, ნანა ალექსანდრიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში — „ნანა 2012".

უმცროსი ასაკის მოჭადრაკეთა შორის ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ. 10 წლის მოჭადრაკეთა შორის (51 მონაწილე), კარგი შედეგი აჩვენა 9 წლის თორნიკე მახარაძემ. მან 6 ქულით 9 შესაძლებლობიდან VI–XI ადგილი დაიკავა. 12 წლიანებში კარგად აიღო სტარტი ოზურგეთელმა მიშიკო ქურიძემ თავდაპირველად ლიდერთა შორის იმყოფებოდა. ფინიშზე რამდენიმე პარტია დათმო და საბოლოოდ 5 ქულა მოაგროვა.

გოგონათა შორის 8 წლის მარი ღლონტმა 1,5 ქულა დააგროვა.

შესარჩევ ტურნირზე

ახლახან, ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში რაიონული ჩემპიონატის II შესარჩევი ტურნირი ჩატარდა. როგორც ვიუწყებოდით, ივნისში გამართულ I შესარჩევ ტურნირში 4 ფინალისტი გამოვლინდა. ამჯერად დამატებით კიდევ 6 მოჭადრაკე გამოვლინდა. ს აბოლოოდ ცნობილია ის 10 მოჭადრაკე, რომლებიც სექტემბერში რაიონული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მიიღებენ მონაწილეობას. ესენია: **ელგუჯა ურუშაძე, გივი სიამაშვილი, აკაკი გოგუა, მიშიკო ქურიძე, რომან კუტუბიძე, ბეჟან ცეცხლაძე, თორნიკე მახარაძე, დავით კილურაძე, ანზორ ქუტიძე, ლიზი ტრაპაიძე.**

გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ განმარტა, რომ რაიონული ჩემპიონატის ფინალში სულ 14 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. აქედან, დამატებით 2-3 ადგილი, აგვისტოს ბოლოს ქ. ოზურგეთის ღია ჩემპიონატში გამოვლინდება, ხოლო ერთი ან ორი ადგილი მიეცემა მაღალრეიტინგიან, წარმატებულ მოჭადრაკეებს (მინდია ჩხიკვიშვილი, გიორგი გოგოლაური, გივა ქუტიძე და სხვ.) რომლებიც საპატიო მიზეზით შესარჩევ ტურნირში ვერ მონაწილეობდნენ.

მისასალმებელია, რომ ფინალურ ეტაპზე 9 წლის თორნიკე მახარაძის და 11 წლის მიშიკო ქურიძის მონაწილეობა, რომლებმაც მაღალ დონეზე განვლეს სატურნირო მარათონი და დაშასურებულად მიიპოვეს ფინალის საგზური. ორთავე ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებია (დირ. გოჩა კვირჩილაძე, მწვრთ. ელგუჯა ურუშაძე).

ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე

პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში დასრულდა ჭაბუკთა პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. აღნიშნულ ტურნირზე საქართველოს ნაკრების ღირსებას ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებიც იცავდნენ.

54კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა გიორგი ხუჭუა (მწვრთნელები ძმები ზურაბიანები), ხოლო 58-ში თემურ კვაჭაძე (ალექსანდრე ბოლქვაძე), აღნიშნულმა სპორტსმენებმა III ადგილისათვის ორთაბრძოლა წაგეს და საბოლოოდ V ადგილებზე გავიდნენ, მაგრამ მათ მიერ მოპოვებული ქულები საქართველოს ნაკრების საერთო წარმატებას წაადგა. ეს მათი პირველი გასვლა იყო ასეთ სპასუხისმგებლო ღონისძიებაზე. 21-26 აგვისტოს ქ. ბაქოში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ოზურგეთელ მოჭიდავეებს უკეთესი შედეგის მიღების შანსი ეძნებათ.

იური ჩიხლაძე



უკვე ერთი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ ჩვენო იმედო, სიყვარულით სავსე და ყველას ნუგეშო. სიტყვები არ გვყოფნის შენზე რომ ვილაპარაკოთ. თურმე რა ბუმბერაზი კაცი იყავი, ყველას ტკივილისა და სიხარულის გამზიარებელი, გამამხნევებელი. რამდენი რამ გვაკლია უშენოდ. შენ მოვლენა იყავი. შენისთანა მეგობარი, მამა, ბაბუა, არ იბადება ამ ქვეყნად. ჩვენ შენი მეგობრები დავდივართ და კიდევ დაგეძებთ ოზურგეთის ქუჩებში, ასე გვგონია შეგვეხმიანები და ისევ შემოგვძახებ, მოგვეფერები, ხელს გაშლი და გულში ჩაგვიკრავ — იტყვი „მე მეტი ვერ შევძელი და ახლა სხვამ გააკეთოს გასაკეთებელიო."

ვერა „ბაბუ", შენსავით, შენზე უკეთ ვერავინ ვერაფერს გააკეთებს. ძალიან ძნელია უშენოდ. თითქმის ყველა საღამოს შენს საფლავთან ვიკრიბებით და ისე გესაუბრებით, გეფერებით. ისევ ვაგრძელებთ შენს ოჯახში ყველა საღამოს შეკრებებს და შენს საყვარელ ცოლშვილთან ერთად შენს გახსენებას. რა ბედნიერები ვართ, რომ შენი „ნინო ბებო", შენ რომ ამბობდი, „ჩემი ჩემპიონი გოგოო," მართლაც ასეთია და შენგან დატოვებული ძალა-ენერგიით ყველას უნაწილებს სითბო-სიყვარულს. ძალიან გვენატრები, ძალიან გვაკლიხარ, შენმა ოზურგეთმა მოიწყინა უშენოდ. შენი ლოცვა-კურთხევა მაქედანაც მოგვეწევა ყველას ჩემო კეთილო ადამიანო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენ განუმეორებელი ადამიანი იყავი და ასეთად დარჩი ბოლომდე.

გვენატრები უსაშველოდ.

შენი მეგობრები.

ჯერ არაფერი გვახარებს

ორი დღეა, ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი სპორტსმენების წარმატებას ამაოდ ველით. სიტყვა წარმატებაში, მედალი ერთადერთ შემთხვევაში იგულისხმებოდა — დღეს, ძიუდოში, 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში. დანარჩენი მოლოდინები კი, წინასწარი ეტაპების კარგად დაძლევას ეხებოდა და არც ამ საქმეებიდან გამოვიდა რამე.

პირველი იმედგაცრუება გუშინ, მშვილდოსანი ქრისტინე ესებუას საკვალიფიკაციო გამოსვლას მოჰყვა. მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორმა ქართველმა, 64 მონაწილეს შორის 34-ე შედეგი აჩვენა და აქედანვე ნათელი გახდა, რომ საუკეთესო წილისყრა ვერ ექნება.

რაც შეეხება გახსნის ცერემონიალს, მსგავსი დოზით დადებითი ემოცია აქამდე მგონი არასოდეს მიმიღია. ფანტასტიური საღამო გამოვიდა და ამას, სტუმარ-მასპინძლიანად, ყველა ერთხმად აღიარებს. რამდენიმე შთამბეჭდავი ეპიზოდის გამორჩევა შეიძლება. მათ შორის, ჯეიმს ბონდისა და ინგლისის დედოფალ ელისაბედის სტადიონის ტერიტორიაზე პარაშუტით დაშვებისა (თუმცა რა ახსნა უნდა, რომ ეს საქმე კასკადიორებს ჰქონდათ ჩაბარებული). წერტილი კი ლეგენდარულმა პოლ მაკარტნიმ დასვა და ტრიბუნებიც ერთხმად აგუგუნა.

ძიუდოისტთა ტურნირი შუკვანისა და ავსტრალიელი დიკინსის შეხვედრით გაიხსნა. ქართველმა წმინდა გდება ბოლო წუთზე შეასრულა. იქამდე კი, მეტოქე სამჯერ დაგდო იუკოზე. ისე გამორჩნდა, წაივარჯიშა და იპონიც განგებ დაგვიანა.

ფრანგ მილუსთანაც, შეხვედრის ბოლომდე შუკვანი თავად კარნახობდა ჭიდაობას, მაგრამ უპირატესობა მხოლოდ კინკილა იუკოში ასახა. ორჯერ მსაჯებმა ბეთქილის სასარგებლოდ ვაზარი დააფიქსირეს და გადათქვეს, ხოლო მაშინ, როდესაც საფინალო სირენამდე და მინიმუმ მეოთხედფინალის საგზურამდე 5 წამიღა რჩებოდა, ქართველი ძიუდოისტი მოულოდნელად მოდუნდა და მეტოქეს გდების შესრულების საშუალება მისცა.

ძიუდოს დარბაზშივე შეეტყვეთ მოკრივე მერაბ თურქაძის ამბავიც, რომელიც წონის ჩაუბარებლობის გამო, ტურნირიდან რინგზე აუსვლელად მოკვეთეს.

ერთადერთი წასასვლელიღა დამრჩა — საგზატკეცილო ველორბოლა, რომელშიც გიორგი ნადირაძე იღებდა მონაწილეობას. სახეობის სპეციფიურობიდან გამომდინარე გადავწყვიტე, გიორგის ფინიშის ხაზთან დავლოდებოდი, მაგრამ რბოლის დასრულება ვერ შეძლო და... ფინიშთანაც აღარაფერი მესაქმებოდა...

ხვალინდელი დღე, ქართული ოლიმპიური დელეგაციისთვის გაცილებით გადატვირთული იქნება. ტურნირში ძიუდოისტი ლაშა შავდათუაშვილი, ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე და ჩოგბურთელები: ანა ტატიშვილი და მაკა ჩახნაშვილი უნდა ჩაერთონ. საღამოს 7 საათისთვის კი, ქართული სახლის პირველი მიღებაა დაგეგმილი, რომელსაც სავარაუდოდ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრება. თუმცა, მიღება შეიძლება გადაიდოს... თუკი, ღმერთმა ინება და რომელიმე ჩვენებური ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

worldsport.ge

ოზურგეთის თოჯინების თეატრთან არსებული ბიჭუნათა ანსამბლ „სალაღობოს" წევრები და მათი მშობლები თანაუგრძნობენ ჯემალ ჭელიძეს მეუღლის **ნათელა თალაკვაძის** გარდაცვალების გამო.

მურმან დუნდუა ოჯახით თანაუგრძნობს შოთა ურუშაძის ოჯახს მამის **გური ურუშაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru